

ჯორჯ ორუელის მსოფლმხედველობის ტრანსფორმაცია „ინგლისი, შენი
ინგლისი“-ს მიხედვით

თამარ მიგრიაული

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
ანგლისტიკაში ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა) და შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე , პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2014

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თამარ მიგრიაული

23. 01. 2014.

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ძირითად თემას წარმოადგენს ცნობილი ინგლისელი მწერლის ჯორჯ ორუელის მსოფლმხედველობის ტრანსფორმაცია მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტების განხილვასთან ერთად. ცნობილია, რომ მწერალი სოციალისტი გახლდათ, თუმცა ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე იგი დარწმუნდა, რომ სოციალიზმიც სხვა ტოტალიტარულ რეჟიმებს ემსგავსებოდა. შედეგად, ორუელს იმედები გაუცრუვდა. გარდა ამისა, აუცილებელია აღინიშნოს მისი უსაზღვრო პატრიოტიზმი თავისი სამშობლოსადმი, რაც ნათლად გამოიხატა ესეიში „ინგლისი შენი ინგლისი“. ამ უკანასკნელში ორუელმა ინგლისის, როგორც დიდი ტრადიციების მქონე ქვეყნის გადარჩენისათვის გარკვეული იდეები გამოთქვა, მათ შორის იყო სოციალური უთანასწორობის მოშლა, სიახლისა და ცვლილებებისკენ სწრაფვა, ომის სიძულვილისგან გათავისუფლება. ეს ყოველივე გახლდათ ის, რისი წყალობითაც ორუელის „ინგლისი“ მომავალში დიდ წარმატებას მიაღწევდა და იდეალურ ერად ჩამოყალიბდებოდა.

ჯორჯ ორუელი თავისი სამშობლოს ნაკლოვანებებთან ერთად ესეიში განიხილა ის დადებითი მხარეები, რომლებიც ბრიტანელებს გააჩნიათ და რასაც შესაძლებელი იყო ხელი შეეწყო გაერთიანებულ სამეფოში სამართლიანი ხელისუფლების დამყარებისათვის, ახალი და ძველი გამოცდილებების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდებოდა იდეალური ქვეყანა, იგი სოციალისტურ პრინციპებზე იქნებოდა დაფუძნებული და სხვა სოციალისტური ქვეყნებისგან განსხვავებით, თეორიაში მიღებულს პრაქტიკაში გაატარებდა.

ჯორჯ ორუელი პროზის დიდოსტატია, რაც არაერთ კრიტიკოსს აღუნიშნავს, და თუ მაინც აკრიტიკებდნენ, მიზეზი მისი მსოფლმხედველობის ერთგვარი გაორება იყო. სოციალისტური მრწამსისათვის არასოდეს უღალატია, მაგრამ სწორედ სოციალისტური და კომუნისტური რეჟიმების მძაფრი კრიტიკით გაითქვა სახელი.

Abstract

The main idea of the following MA final thesis is the transformation of the views of a famous English writer George Orwell, including the significant moments of his life. The emphasis is on the facts and events which shaped Orwell's views. It is well-known that the writer was a socialist, though at some time in his life he was convinced that the modern socialism was becoming the same as other totalitarian regimes. Consequently, he was disappointed. Besides, it is necessary to point out his limitless patriotism towards his country, this attitude was clearly portrayed in his essay „England Your England”. In this Essay Orwell expressed certain ideas to save England as a country bearing old traditions, these ideas included destroying social inequality, aspiration towards changes and innovations, getting rid of the war hatred. These ideas would make Orwell's „England” more successful and finally it would become an ideal nation.

In the essay, George Orwell discussed the positive aspects of the British people, how they could contribute to the creation of a democratic government in the United Kingdom, new and old experiences would lead to an ideal country. It would be based on the socialist principles and unlike other socialist countries, Britain's government would put theory into practice.

George Orwell can be regarded as the master of prose. This fact was mentioned by a lot of critics, but there were people who strictly criticized him just because of his doubled views. He remained loyal to socialist beliefs, though he became famous for his strong criticism towards communist and socialist regimes.